

**ევროპული ქარტია
ადგილობრივი
ანალოგაზრდული
საქმიანობის შესახებ**

დემოკრატიულ საზოგადოებას სჭირდება ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობა, რადგან მათი ხმა მნიშვნელოვანია. ამ აქტივობის განსახორციელებლად კი საჭიროა საერთო სივრცე, სადაც ისინი ერთად აღმოაჩენენ, განავითარებენ, შეაჯერებენ საკუთარ ინტერესებსა და უნარებს. ეს იქნება სივრცე, სადაც ახალგაზრდები იგრძნობენ მხარდაჭერასა და სტიმულს შემდგომი განვითარებისა და წინსვლისთვის. **გამოკვეთენ თავიანთ ღირებულებებს, რათა შეძლონ მთლიანად გამოიყენონ თავიანთი პოტენციალი, როგორც ინდივიდებმა, ისე სახელმწიფოს მოქალაქეებმა.** ახალგაზრდული საქმიანობა არის ეს სივრცე და ახალგაზრდები¹ არიან, და ყოველთვის იქნებიან, მისი მთავარი აქტორები. **აქედან გამომდინარე, ახალგაზრდული საქმიანობა არის სივრცე, სადაც სწავლობენ და ვითარდებიან, არა მხოლოდ ახალგაზრდები, არამედ ახლად შექმნილი საზოგადოებებიც.** ეს არის მნიშვნელოვანი კავშირდადბანდება, რომელშიც წამყვანი ფუნქცია აკისრიათ ახალგაზრდებს.



ევროსაბჭომ და ევროკომისიამ განიხილა, ქარტია, რომელიც უნდა იყოს ახალგაზრდული საქმიანობის მთავარი სამუშაო გეგმა. აღსანიშნავია, რომ ეს სულაც არ არის პოლიტიკური დოკუმენტი. **ამ ქარტიის შესახებ, პირველად ბრიუსელში 2015 წელს ისაუბრეს.** ქარტიაში აღნიშნული იყო, რომ უნდა გაზრდილიყო ადგილობრივი და საერთაშორისო ავტორიტეტების პასუხისმგებლობა ახალგაზრდებთან მიმართებაში. ხოლო 22-ე დეკლარაციის თანახმად, ევროსაბჭომ², ერასმუსთან ერთად შეიმუშავა სტრატეგიული პროექტი სახელად "Europe Goes Local"³. ამ პროექტის განვითარებაში ჩართული იყო, როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებმ, მუნიციპალიტეტები და ახალგაზრდული ორგანიზაციები. ქარტია ამ პროექტის ერთ-ერთი მთავარი შედეგია. იგი შემუშავდა ევროპის მასშტაბით ჩატარებული კონსულტაციების შედეგად, დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრის ჩართვით ყველა დონეზე, მათ შორის: მთავრობები, მუნიციპალიტეტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ახალგაზრდული ორგანიზაციები და საბჭოები, ქოლგა ორგანიზაციები და მრავალა სხვა.

ამრიგად, იგი შექმნილია და ევოლუციის ევროპის ახალგაზრდობის საზოგადოებას და ეხება ყველას, პოლიტიკოსებიდან დაწყებული ახალგაზრდული მუშაკების ჩათვლით, რომლებიც ახალგაზრდულ საქმიანობაში არიან ჩართულნი და სურთ გააუმჯობესონ ეს სფერო.



ქარტიის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი ახალგაზრდული საქმიანობის შემდგომ განვითარებას. ამას ახდენს იმის მითითებით, თუ რომელი პრინციპები უნდა ხელმძღვანელობდეს მას და როგორ უნდა იყოს შემუშავებული მისი სხვადასხვა ასპექტები, ამ პრინციპების შესაბამისად. ქარტია წარმოადგენს საერთო ევროპულ პლატფორმას ახალგაზრდული საქმიანობის შესახებ აუცილებელი დიალოგისთვის. ეს არის უფასო, მეთოდოლოგიური ინსტრუმენტი, რომლის გარშემოც დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ შეიკრიბონ და იმსჯელონ, თუ რა ზომების მიღებაა საჭირო მისი შემდგომი განვითარებისათვის.




ახალგაზრდული საქმიანობა ხასიათდება მრავალფეროვნებით, არამარტო პრაქტიკულად, არამედ: ორგანიზებით, მართვით და დაფინანსებით. ამ ყველაფერზე პასუხისმგებელნი არიან სხვადასხვა აქტორები, რომლებიც მუშაობენ წესდებაზე. იმისათვის, რომ ხელი შეუწყოთ დისკუსიებს, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ ქარტია სხვადასხვა ადგილობრივ დონეზე, მას უნდა დაერთოს ონლაინ კრებული, რომელიც გვთავაზობს სხვადასხვა პერსპექტივებს, განმარტებებს, საცნობარო დოკუმენტებსა და კარგი პრაქტიკის მაგალითებს.

1 ახალგაზრდები- ამასთან, ახალგაზრდები არ არიან ერთგვაროვანი ჯგუფი. მათ აქვთ განსხვავებული ინტერესები და იდეები. ამ განსხვავებების გამო შესაძლოა ჯონდეთ სხვადასხვა საჭიროებები.
 2 ამ დოკუმენტებს შორისაა:
 • საბჭოს დავკვები ახალგაზრდობის ხარისხიანი მუშაობის წვლილის შესახებ ახალგაზრდების განვითარებაში, კეთილდღეობასა და სოციალურ ინტეგრაციაში (2013 / C 168/03)
 • დღის წესრიგი 2020, რეზოლუცია CM / Res (2008) 23 ევროპის საბჭოს ახალგაზრდული პოლიტიკის შესახებ
 • ევროპის საბჭოს რეკომენდაცია ახალგაზრდული საქმიანობა შესახებ (CM / Rec (2017) 4
 • ახალგაზრდობის გაძლიერება: ევროკავშირის ახალგაზრდული სტრატეგია COM/ 2018/269 ფინალი.
 3 პროექტი დაფინანსებულია Erasmus+ პროგრამის ტრანსნაციონალური თანამშრომლობის ღონისძიებების ფარგლებში.

- ★ დაფუძნებული იყოს ნებაყოფლობით მონაწილეობაზე- ახალგაზრდები საკუთარი სურვილითა და მოტივაციით უნდა იყვნენ ჩართულები ახალგაზრდულ საქმიანობაში;
- ★ ეფუძნებოდეს და ჰასუხობდეს იმ საჭიროებებს, ინტერესებს, გამოცდილებასა და იდეებს, რომელსაც ახალგაზრდები თავად აღიქვამენ, შესაბამისად დამატებითი ღირებულება და სიამოვნება მოაქვთ მათ ცხოვრებაში;
- ★ იყოს შექმნილი, შესრულებული, ორგანიზებული, განხორციელებული და შეფასებული ახალგაზრდებთან ერთად ან ახალგაზრდების მიერ;
- ★ ხელი შეუწყოს ახალგაზრდების პიროვნულ და სოციალურ განვითარებას არაფორმალური და ფორმალურს გარე განათლების საშუალებით;
- ★ მიისწრაფოდეს ახალგაზრდების მიზამიმართულობის, ავტონომიისა და უფლებებზე წვდომის გაუმჯობესებისაკენ;
- ★ ჰქონდეს ჰოლისტიკური ხედვა ახალგაზრდებზე და მოდიოდეს თანხვედრაში მათთან, როგორც ქმედუნარიან პიროვნებებთან, რომლებიც არიან პირველადი რესურსები საკუთარ ცხოვრებისა და მთლიანად საზოგადოებისთვის;
- ★ ხელი შეუწყოს კრიტიკულ აზროვნებას და შემოქმედებითობას, ასევე ადამიანთა უფლებების დაცვას, დემოკრატიულ ღირებულებებსა და აქტიურ მოქალაქეობას;
- ★ იყოს ინკლუზიური და ჰქონდეს ყველა ახალგაზრდისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი შესაძლებლობები.



- ★ ვითარდება:
 - ზემოთ ნახსენები ძირითადი პრინციპების ფარგლებში და მათ შესაბამისად;
 - დაინტერესებულ მხარეთა თანამშრომლობით, მათ შორის ახალგაზრდების, რომლებსაც აქვთ შესაბამისი მანდატები მონაწილეობა მიიღონ პროცესის ყველა ეტაპზე;
 - ახალგაზრდების საჭიროებების, უფლებებისა და ინტერესების შესახებ შესაბამისი და განახლებული ცოდნით, ასევე ახალი კვლევებისა და მეთოდების შესახებ ინფორმაციით, რომელთა გამოყენება მიზნის მისაღწევად არის საჭირო;
- ★ ემყარება თვისობრივ და რაოდენობრივ ინდიკატორებს, რომლებიც აჩვენებს მიღწევებს ახალგაზრდების ჩართულობასთან, ზეგავლენისა და სწავლასთან დაკავშირებით;
- ★ რესურსებს მოიხმარს მიზამიმართულად;
- ★ შეიცავს მკათვიო და პოლიტიკურად დამტკიცებულ ადგილობრივ მიზნებსა და ამოცანებს, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ავტონომიის დაცვით;
- ★ მკათვიოდ პოზიციონირდება და დაკავშირებულია უფრო ფართო ახალგაზრდულ პოლიტიკასთან ყველა დონეზე, დაწყებული ადგილობრივიდან ევროპულამდე.



- ★ დიალოგი შესაბამის დაინტერესებულ მხარეთა შორის;
- ★ მიზნებისა და ამოცანების თანმიმდევრულ სტრატეგიებად და გეგმებად გადაკეთება;
- ★ ხარისხიანი ახალგაზრდული საქმიანობის შესასრულებლად წინაპირობებისა და სამუშაო პროცესების განსაზღვრა-დადგენა;
- ★ გეგმებისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაციის უწყვეტი ცვლა, ადგილობრივ ეროვნულ და ევროპულ აქტორებს შორის, რათა მოხდეს ახალგაზრდების ჩართულობა, როგორც სექტორთაშორის ასევე ტრანსსექტორულ დონეზე;
- ★ ახალგაზრდებს მიაწოდოს ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ და მისცეს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახის ადგილობრივ და საერთაშორისო აქტივობებში;
- ★ ახალგაზრდების წახალისება და მხარდაჭერა:
 - ყველა სახის ბარიერისა და საზღვრების გადალახვა სოციალიზაციის, გამოცდილების გაზიარების, იდეების გაცვლისა და ორგანიზების მისაღწევად,
 - იყვნენ აქტიური მოქალაქეები და მოახდინონ გავლენა საზოგადოებაში, მათ შორის პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში, როგორც გადაწყვეტილების მიმღებმა მხარეებმა,
 - აქტიურად იყვნენ ჩართულნი რეგიონალურ, ეროვნულ, ევროპულ საერთაშორისო მობილობასა და თანამშრომლობაში;
- ★ ახალგაზრდებთან ერთად ჩამოაყალიბონ სასწავლო მიზნები, რომლებიც მიაჩნიათ რელევანტურად, როგორც ინდივიდუალური ასევე სოციალური განვითარებისთვის;
- ★ ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად არათვორმალური სწავლის შედეგების (მაგ: ცოდნის, უნარების, დამოკიდებულებებისა და ღირებულებების) დოკუმენტირება და მიღწეული შედეგების ვალიდირება;
- ★ ადგილობრივი საჭიროებების შესაბამისად, ახალგაზრდა მუშაკებისათვის საინფორმაციო-საგანმათლებლო ტრენინგების ჩატარება, მათთვის საჭირო კონკრეტუნიციების განვითარებისათვის.



- ★ იმოქმედოს მკაფიო ეთიკურ ჩარჩოებში, ძირითადი პრინციპების საფუძველზე, რომელზეც საუბარია: გაეროს ადამიანის უფლებათა უნივერსალურ დეკლარაციაში, გაეროს ბავშვთა უფლებების დეკლარაციასა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციაში;
- ★ ხელი შეუწყოს ახალგაზრდების ინდივიდუალურ და სოციალურ განვითარებას;
- ★ შექმნას ხელსაყრელი და სანდრო გარემო, რომელიც ერთროულად იქნება ინკლუზიური, შემოქმედებითი, უსაფრთხო და ამასთან ერთად გასართობი;
- ★ დაინახოს საჭიროებები და მოძებნოს გადაჭრის გზები:
 - ჩართოს ახალგაზრდები ახალგაზრდული სამუშაოს ყველა ეტაპზე;
 - მხარი დაუჭიროს ახალგაზრდების თვითგანვითარებას;
- ★ ჰქონდეს ახალგაზრდული საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო კონპეტენციები, ქარტიაში აღწერილი პრინციპებისა და მოქმედების შესაბამისად;
- ★ დაინახოს ახალგაზრდული საქმე, როგორც საერთო სწავლის პროცესი და მუდმივი კომპეტენციის განვითარების საჭიროება;
- ★ იცნობდეს და შეეძლოს გამოხატოს ახალგაზრდული მუშაკების როლი და მისია, ასევე არ გასცდეს საქმიანობის ძირითად მიზნებსა და პრინციპებს;
- ★ მუდმივად კრიტიკულად შეაფასოს, თუ როგორ შეესაბამება მათი მოქმედებები, ადგილობრივი მიზნები, საქმიანობის ორგანიზების მეთოდები და გზები ძირითად პრინციპებს.



- ★ დოკუმენტაციისა და შედეგების, მკაფიო და ყოვლისმომცველი სისტემა;
- ★ ადგილობრივი რეალობისა და საჭიროებების რეგულარული და განახლებული ასახვა;
- ★ სამუშაო პროცესი და აქტივობები, როგორც განვითარების საჭიროება და ამას გარდა შედეგის უწყვეტი ანალიზი, რომელიც დაკავშირებულია წინაპირობებთან;
- ★ ახალგაზრდობისა და მათი მუშაობის სფეროში გამჭირვალე პროცედურები: ახალი ეროვნული და საერთაშორისო კვლევების, ტენდენციებისა და მეთოდების შესახებ;
- ★ ყველა დაინტერესებული მხარის საერთო ძალისხმევით თანამშრომლობა ხარისხის განვითარებისა და ინოვაციების მიღების საკითხებში;
- ★ ახალგაზრდების კომპეტენციის მუდმივი განვითარება, ადგილობრივი შედეგების, საჭიროებების, ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზთან ერთად.



პარტნიორები



www.iz.or.at



www.site.erasmusplus-jeunesse.fr



www.leargas.ie



www.iuventa.sk



www.jint.be



www.jugendfuereuropa.de



www.jaunatne.gov.lv



www.movit.si



www.mobilnost.hr



www.inedivim.gr



www.aha.li



www.anpcdefp.ro




www.ufm.dk



www.tka.hu



www.jtba.lt



www.mufc.se



www.noored.ee



www.rannis.is



www.nji.nl



www.opf.f



www.agenziagiovani.it



www.dzs.cz



www.movetia.ch



www.aktivungdom.eu



www.juventude.pt

საერთაშორისო ორგანიზაციები



pjp-eu.coe.int




www.youthforum.org



intercityyouth.eu



poywe.org



"ახალგაზრდული სამუშაო
დაფუძნებულია
ღირებულებებზე... და ხელს
უწყობს ახალგაზრდების
უფლებებს"

